ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №398306

ნომერი: AR187195

თარიღი : 19.10.2012

გაცემის თარიღი : 22.10.2012

გაცნობის თარიღი : 24.10.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ტატუაშვილი პ/ნ 01013024941
- თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა 48. კორპუსი #1. ბინა #64

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR187195 19.10.2012 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ #01.11.17.001.006 საკადასტრო ერთეულზე მსუბუქი კონსტრუქციის თვითმომსახურების ავტო სამრეცხაოს მოწყობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ შემდეგს:

დღევანდელი მდგომარეობით მიწის ნაკვეთი ხვდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)–ში,რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს.

სამსახურის მიერ #367 (10.03.2009) ბრძანებით მიღებული იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე, ვინაიდან მოცემული ტერიტორია წარმოადგენს იძულებით შეუსაბამო მიწის ნაკვეთს, რადგან განთავსებულია ორ სამანქანო გზის გამწვანებულ ზოლში. ამასთან ქალაქ თბილისის მთავრობის #01.14.11. დადგენილებაში მოცემული პირობებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ავტოსამრეცხაოს განთავსება უნდა ხდებოდეს ეზოს სიღრმეში, ისე, რომ მასთან მომსახურეობა უნდა ხდებოდეს ქუჩიდან ჩაუხედავობის პრინციპის დაცვით (იხ. დანართი);

მითითებული პირობების გათვალისწინებით, ნაკვეთის კონფიგურაციიდან, გაბარიტებიდან, ადგილმდებარეობიდან და ფუნქციური ზონიდან გამომდინარე სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება და კვლავ რჩება იგივე პოზიციაზე;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.